

ცნობები არსებითი ფაქტის (მოვლენის) შესახებ

ცნობები სს „თელასის“ აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებების შესახებ

სააქციო საზოგადოება „თელასი“ გაცნობებთ, რომ შედგა საზოგადოების აქციონერთა საერთო კრება. საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების ოქმი შედგენილ იქნა 2020 წლის 30 ივნისს.

ჩატარების ფორმა:	ერთობლივი დასწრება
ჩატარების ადგილი:	თბილისი, ვანის ქ. 3.
ჩატარების თარიღი:	2020 წლის 30 ივნისი
ჩატარების დრო:	11სთ. 00 წთ.
საერთო კრების კვორუმი:	ხმის უფლების მქონე აქციათა 99,6374%

აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგი:

- საკითხი 1.** 2019 წლის სამუშაოს შედეგების წლიური ანგარიშისა და საზოგადოების 2019 წლის წლიური ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით დამტკიცების შესახებ;
- საკითხი 2.** საზოგადოების მოგების, მათ შორის დივიდენდების გადახდის (გამოცხადების) და ზარალის განაწილების შესახებ 2019 ფინანსური წლის შედეგების მიხედვით;
- საკითხი 3.** საზოგადოების აუდიტორის დამტკიცების შესახებ 2020 წლისთვის;
- საკითხი 4.** საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევის შესახებ.

საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები:

I. დღის წესრიგის პირველ საკითხზე:

გადაწყვეტილების პროექტი:

„დამტკიცდეს 2019 წლის სამუშაოს შედეგების მიხედვით სს „თელასი“-ს წლიური ანგარიში და ფასს -ის მიხედვით 2019 წლის წლიური ფინანსური ანგარიშგება დანართი #1-ის თანახმად.“

კენჭისყრის შედეგები:

„მომხრე“: კრებაზე დამსწრე აქციათა 100%; „წინააღმდეგი“: „0“. „თავი შეიკავა“: „0“.

გადაწყვეტილება მიღებულია.

II. დღის წესრიგის მეორე საკითხზე:

გადაწყვეტილების პროექტი:

„1. დამტკიცდეს საზოგადოების წმინდა მოგების შემდეგი განაწილება 2019 ფინანსური წლის შედეგების მიხედვით:

გაუნაწილებელი მოგების მაჩვენებლები	ათასი ლარი
------------------------------------	------------

გასული წლების გაუნაწილებელი მოგება (დაუფარავი ზარალი)(გადაანგარიშებული)	42 961
საანგარიშო პერიოდის გაუნაწილებელი წმინდა მოგება (დაუფარავი ზარალი)	14 057
გასანაწილებლად შეთავაზებული გაუნაწილებელი მოგება (დაუფარავი ზარალი), მათ შორის:	14 057
გასული წლების გაუნაწილებელი მოგება (დაუფარავი ზარალი)(გადაანგარიშებული)	0
საანგარიშო პერიოდის გაუნაწილებელი მოგება (დაუფარავი ზარალი)	14 057
მოგების განაწილება, მათ შორის:	
სარეზერვო ფონდი	703
დივიდენდები	0
ინვესტიციები	0
გასული წლების ზარალის დაფარვა	0
გაუნაწილებელი მოგების ნაშთი	13 354

2. 2019 ფინანსური წლის შედეგების მიხედვით საზოგადოების ჩვეულებრივ აქციებზე არ იქნას გადახდილი დივიდენდები.

კენჭისყრის შედეგები:

„მომხრე“: კრებაზე დამსწრე აქციათა 100%; „წინააღმდეგი“: „0“. „თავი შეიკავა“: „0“.

შენიშვნა: საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

გადაწყვეტილება მიღებულია.

III. დღის წესრიგის მესამე საკითხზე:

გადაწყვეტილების პროექტი:

„1. 2020 წლის შედეგების მიხედვით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად შედგენილი ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის სს „თელასის“ აუდიტორად დამტკიცდეს EY Georgia LLC (საქართველო, თბილისი, 0105, კოტე აბხაზის ქ. №44, ს/კ 204441158).“

კენჭისყრის შედეგები:

„მომხრე“: კრებაზე დამსწრე აქციათა 100%; „წინააღმდეგი“: „0“, „თავი შეიკავა“: „0“.

გადაწყვეტილება მიღებულია.

IV. დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე:

გადაწყვეტილების პროექტი:

„სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭო არჩეულ იქნას შემდეგი შემადგენლობით:

1) აბრამკოვი ალექსანდრე ევგენის ძე (რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, დაბადების თარიღი: 13.10.1977, მცხოვრები მისამართზე: ქ. მოსკოვი, პროფკავშირების ქ. სახლი 25, კორპ. 1, ბ. 190, რფ-ის მოქალაქის საზღვარგარეთის პასპორტი, სერია და ნომერი: 76 2334649, გაცემის თარიღი: 27.01.2020წ.);

2) ვოლკოვი დმიტრი ევგენის ძე (რუსეთის მოქალაქე, დაბადების თარიღი: 30.10.1969, მცხოვრები მისამართზე: ქ. მოსკოვი, მარშალ სოკოლოვსკის ქ. სახლი 10/1, ბ. 4, რფ-ის მოქალაქის საზღვარგარეთის პასპორტი, სერია და ნომერი: 55 #0176843, გაცემული რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ 07701; გაცემის თარიღი: 18.12.2018);

3) მახოვი იური ვასილის ძე (რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, დაბადების თარიღი: 07.08.1974წ. მცხოვრები შემდეგ მისამართზე: ქ. სანკტ-პეტერბურგი, 199226, შკიპერსკი პროტოკ 20, ბ. 100; რფ-ის მოქალაქის საზღვარგარეთის პასპორტი, სერია და ნომერი: 71 #6115759, გაცემულია ფსს-ის 78039 მიერ; გაცემის თარიღი: 13.09.2011წ.);

4) სამარინი სერგეი ვალენტინის ძე (რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, დაბადების თარიღი: 14.09.1973წ., მცხოვრები შემდეგ მისამართზე: ქ. მოსკოვი, სოსენსკოეს დასახლება, ლომმუნარკა პ. ბაჩურინსკაია, სახლი 8, კორპ. 2, ბ. 131; რფ-ის მოქალაქის საზღვარგარეთის პასპორტი, სერია და ნომერი: 53 0170546, გაცემული 07.11.2011წ. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, ქვედანაყოფის კოდი 07701)

5) ჩიქოვანი გიორგი ზაზას ძე (დაბ. თარიღი და ადგილი: 20.05.1977 წ., საქართველო, საცხ. ადგილი: თბილისი, ფანასკერტელ-ციციშვილის №6; პირადობის მოწმობის ნომერი: 15IA18088; საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი: 01026005186);

6) გელენიძე ზურაბ გივის ძე (საქართველოს მოქალაქე, დაბადების თარიღი: 12.10.1975წ., მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, ყაზბეგის გამზირი №55ა, პირადობის მოწმობის ნომერი: დ1386924; საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი: 01001007159).“

კენჭისყრის შედეგები:

„მომხრე“: კრებაზე დამსწრე აქციათა 100%; „წინააღმდეგი“: „0“. „თავი შეიკავა“: „0“.

შენიშვნა: საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

გადაწყვეტილება მიღებულია.

სს „თელასი“-ს
გენერალური დირექტორი

ს.კობცევი